



ბანათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება

ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა
„ელექტროინჟინერია“

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება

სსიპ-საქრთველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი
14 იანვარი 2020

დასკვნის წარდგენის თარიღი

თბილისი 2020

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	211349192
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ელექტროინჟინერია
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	მეცნიერების ბაკალავრი ელექტროინჟინერიაში 0713
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	ახალი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თამაზ ბიჭიაშვილი (ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი, საქართველო)
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მია ტულუში (სსიპ- ბათუმის საზღვაო აკადემია, საქართველო)
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ბაქარ დუაძე (სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო)
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამელი დასკვნის პროექტი

✦ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საქართველოში ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვის ტემპისა და ელექტროტექნიკის სპეციალისტებზე მოთხოვნის ზრდის, ელექტროინჟინერიის მიმართულების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მსოფლიო ტენდენციების გათვალისწინებით, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტზე მომზადდა ახალი საბაკალავრო პროგრამა „ელექტროინჟინერია“.

პროგრამის მიზანია მოამზადოს დასაქმების შიდა და მსოფლიო ბაზრისათვის კონკურენტუნარიანი სპეციალისტები ელექტროტექნიკის და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დარგში, რომლებიც თავისი კომპეტენციით შეძლებენ სიგნალების შეფასებას, ადეკვატური სასიგნალო სისტემების შერჩევას, სიგნალების გამოსხივების, გადაცემისა და მიღების ტექნიკური მომსახურების უზრუნველყოფას, ელექტრული წრედების, სისტემების, ქსელების, ელექტროდინამიკისა და მოწყობილობების დიაგნოსტიკას. კურსდამთავრებულები შეძლებენ მათ წინაშე წამოჭრილი პრობლემების შეფასებას ეთიკურ, ეკონომიკურ და ეკოლოგიურ ასპექტებში. პროგრამით მისანიჭებელი კვალიფიკაციაა მეცნიერების ბაკალავრი ელექტროინჟინერიაში.

წარმოდგენილი პროგრამის მიხედვით ხარისხის მოსაპოვებლად სტუდენტმა უნდა აითვისოს არანაკლებ 240 ECTS (კრედიტი), საიდანაც 234 კრედიტი არის ძირითადი სპეციალობის, ხოლო 6 კრედიტი - თავისუფალი კომპონენტის.

ძირითადი სპეციალობის კრედიტებიდან 54 კრედიტი ეთმობა საბუნებისმეტყველო მეცნიერებებს, 127 კრედიტი - საინჟინრო მეცნიერებებს და სავალდებულო არჩევით კურსებს (მათ შორის 14 კრედიტი დამასრულებელი ნაშრომის თემის შესაბამის საგნებს, 18 კრედიტი დამასრულებელ ნაშრომს), 53 კრედიტი გათვალისწინებულია ზოგადსავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსებისათვის.

სტუდენტის მიერ ასათვისებელი კრედიტების წლიური ჯამი არ აღემატება 75 ECTS კრედიტს.

✦ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ მოწოდებული დოკუმენტების შესწავლის შემდეგ, 2019 წლის 21 ნოემბერს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში შედგა საექსპერტო ჯგუფის წევრების შეხვედრა, მოხდა დოკუმენტების წინასწარი განხილვის შედეგად ჩამოყალიბებული შთაბეჭდილებების გაზიარება და საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ვიზიტისათვის სავარაუდო კითხვების შემუშავება.

2019 წლის 22 ნოემბერს განხორციელდა აკრედიტაციის ვიზიტი საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში. ვიზიტის პროცესში ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა:

- ✦ უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ადმინისტრაციას;
- ✦ პროგრამის თვითშეფასების ჯგუფს;
- ✦ უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელებს;
- ✦ პროგრამის ხელმძღვანელებს;
- ✦ საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს;
- ✦ ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის სხვა საგანმანათლებლო მიმართულების სტუდენტებს;

- ✦ ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის სხვა საგანმანათლებლო მიმართულების კურსდამთავრებულებს;
- ✦ დამსაქმებლებს და სტაჟირების განმახორციელებლებს.

ვიზიტის ფარგლებში მოხდა აგრეთვე პროგრამის განხორციელებისთვის გათვალისწინებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება (სასწავლო აუდიტორიები, ბიბლიოთეკა, სასწავლო-კვლევითი ლაბორატორიები). ვიზიტის დასასრულს საექსპერტო ჯგუფს გამოეყო სამუშაო დრო ვიზიტის მსვლელობისას გამოვლენილი ძირითადი მიგნებების ჩამოსაყალიბებლად და დაწესებულების წარმომადგენლებისათვის გასაცნობად.

- ✦ საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

ექსპერტთა ჯგუფმა პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის მეშვეობით მოპოვებული ინფორმაციის, შესაბამისი თანდართული დოკუმენტაციისა და ადგილზე ვიზიტის საფუძველზე დაადგინა:

- წარმოდგენილი პროგრამა არ შეესაბამება მასში მითითებულ სწავლის დეტალური სფერო „0713 ელექტრობა და ენერჯია“-ს კლასიფიცირებული სწავლის სფერო „0713.1.2 ელექტროინჟინერია“-ს (ანიჭებს კვალიფიკაციას „მეცნიერების ბაკალავრი ელექტროინჟინერიაში“).

- ✦ რეკომენდაციები ექსპერტთა ჯგუფმა ჩამოაყალიბა

შემდეგი რეკომენდაციები:

- საჭიროა პროგრამის მიზნის, სტრუქტურისა და შინაარსის მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან შესაბამისობაში მოყვანა საქართველოში მოქმედი სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მიხედვით.
- ზოგიერთი ზოგადსაინჟინრო და სატელეკომუნიკაციო სპეციალობის სასწავლო დისციპლინები ჩანაცვლდეს ისეთი საგნებით, რომლებიც იძლევა ცოდნას 0713.1.2.-ის მიმართულებით (მაგ., სასწავლო დისციპლინები „ელექტრონული სქემების ანალიზი და დაპროექტება“, „ანალოგური და ციფრული საკომუნიკაციო სისტემები“, „ელექტრომაგნიტური ეკოლოგია“, „ინფორმაციის თეორიული საფუძვლები“, „შრომის დაცვის საფუძვლები ენერგეტიკასა და ტელეკომუნიკაციაში“ და სხვა ჩანაცვლდეს სასწავლო დისციპლინებით ელექტროგაყვანილობისა და ელექტროტექნიკური მოწყობილობების პროექტირების, მათი ანალიზის, მონტაჟის, გამართვის, გამოცდის, ექსპლუატაციის, დიაგნოსტიკისა და რემონტის შესახებ. დასამატებელია აგრეთვე ანალოგური და ციფრული ელექტრული წრედების შემსწავლელი და ელექტროინჟინერიის სპეციალობის შესაბამისი სხვა სასწავლო დისციპლინები).
- შრომის ბაზრის მოთხოვნებთან პროგრამის შინაარსისა და შედეგების შესაბამისობის მისაღწევად, საჭიროა პოტენციურ დამსაქმებელთა რეგულარული გამოკითხვებისა და სხვა მეთოდების გამოყენებით უფრო აქტიური ჩართვა კურიკულუმის შინაარსისა და პროგრამის მენეჯმენტის ჩამოყალიბებაში;
- მეტი ყურადღება დაეთმოს სწავლების თანამედროვე მეთოდების (ინტერაქტიული და აქტიური სწავლება, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, შემთხვევების განხილვა

(case study) და სხვა) დანერგავას.

- განახლდეს სასწავლო ლაბორატორიები, მეტი სახსრები გამოიყოს პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო თანამედროვე აპარატურის, პროგრამული და სხვა რესურსების შესაძენად.
- სტუდენტთა პროფესიული უნარების უკეთ განვითარებისათვის სპეციალობის საგნებში ლაბორატორიულ სამუშაოებზე აბსტრაქტულ ობიექტებზე სიმულაციური პროგრამების პარალელურად ჩატარდეს ნატურული ექსპერიმენტები რეალურ ობიექტებზე.
- რეგულარული ხასიათი მიეცეს პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის თვითშეფასებისა და კმაყოფილების კვლევისა და სტუდენტების გამოკითხვების ჩატარებას.
- შიდა ხარისხის უკეთ უზრუნველსაყოფად საჭიროა კითხვარების შემუშავების მეთოდოლოგიის დახვეწა, მიღებული მონაცემების სისტემური ანალიზი.
- რეგულარული ხასიათი მიეცეს პროგრამის მონიტორინგისა და გამოკითხვების ჩატარებას, შედეგების გამჭვირვალობას.
- საჭიროა პროგრამის ფარგლებში სწავლების პროცესთან დაკავშირებულ პრობლემურ საკითხებზე სტუდენტებისათვის ინდივიდუალური, დროული და კვალიფიციური დახმარების სისტემური მექანიზმის შემუშავება.

✦ რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ექსპერტთა

ჯგუფმა ჩამოაყალიბა შემდეგი რჩევები:

- კურიკულუმის შედგენისას სასურველია გათვალისწინებული იყოს თუ რა დონით ავითარებს ესა თუ ის სასწავლო კურსი პროგრამის სწავლის შედეგებს.
- სასურველია ადამიანური რესურსების სამსახურის პოლიტიკის, პროცედურების, შემოთავაზებული ტრენინგების, აკადემიური და მოწვეული პერსონალის საკონსულტაციო მომსახურებაზე ანაზღაურების, აკადემიური პერსონალის რეიტინგული შეფასების შესახებ სტუდენტთა გამოკითხვის შედეგების საჯაროობა და მეტი გამჭვირვალობა.
- სასურველია იყოს წარმოდგენილი პერსონალის დატვირთვა ყველა იმ უსდ-ში, სადაც ისაა დასაქმებული.
- გაგრძელდეს უცხოელ სპეციალისტებთან საერთაშორისო კავშირების განვითარება მათი სასწავლო პროცესში აქტიური ჩართვის უზრუნველსაყოფად.
- გასაუმჯობესებელია საკვალიფიკაციო მოთხოვნების აღწერა ყველა პოზიციისათვის.
- აკადემიური პერსონალის თვითგანვითარების მოტივაციის გასამლიერებლად სასურველია შემუშავდეს წახალისების სისტემა მაღალი რეიტინგის მქონე აკადემიური პერსონალისთვის.
- პროგრამაში ჩართული პერსონალის ანაზღაურებისა და სხვა ხარჯების პარალელურად სასურველია დეტალურად აღიწეროს მათი სხვა აქტივობების (კონფერენციებში მონაწილეობა, პერსონალის პროფესიული განვითარება, სტატიების პუბლიკაცია და სხვა) უზრუნველყოფისა და პროგრამის თანამდროვე სასწავლო ინვენტარითა და მოწყობილობებით აღჭურვისათვის საჭირო ხარჯები.
- სასურველია განხორციელდეს ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზების გამოყენების მონიტორინგი და ანალიზი.
- სასურველია შემუშავდეს პროგრამის ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფისა და რისკ-მენეჯმენტის სტრატეგია.

- გამოიყოს მეტი სახსრები პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო თანამედროვე აპარატურის, პროგრამული რესურსებისა და სხვა საშუალებათა შესაძენად.
- მეტი ყურადღება დაეთმოს იმ საგნების სწავლებას, რომლებიც იძლევა ელექტრონიკურიაში მეცნიერების ბაკალავრის საკვალიფიკაციო მოთხოვნის შესაბამის ცოდნას და სტუდენტებს უვითარებს სათანადო უნარებსა და ჩვევებს. ✦
საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)

✦ განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის აღწერის მიხედვით, ელექტროინჟინერიის საბაკალავრო პროგრამის მიზანია მოამზადოს დასაქმების შიდა და მსოფლიო ბაზრისათვის კონკურენტუნარიანი სპეციალისტები ელექტროტექნიკის და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დარგში, რომლებიც თავისი კომპეტენციით შეძლებენ სიგნალების შეფასებას, ადეკვატური სასიგნალო სისტემების შერჩევას, სიგნალების გამოსხივების, გადაცემისა და მიღების ტექნიკური მომსახურების უზრუნველყოფას, ელექტრული წრედების, სისტემების, ქსელების, ელექტროდანადგარებისა და მოწყობილობების დიაგნოსტიკებას. კურსდამთავრებულები შეძლებენ მათ წინაშე წამოჭრილი პრობლემების შეფასებას ეთიკურ, ეკონომიკურ და ეკოლოგიურ ასპექტებში.

პროგრამის მიზანი შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას და განვითარების სტრატეგიულ გეგმას, რომელიც ითვალისწინებს აგრეთვე „...საზოგადოების ინტელექტუალური, ზნეობრივი, კულტურული და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობას; ახალი ცოდნის შექმნას, შენახვას და გავრცელებას; ინოვაციებით საუნივერსიტეტო ტრადიციების განვითარებას; სტუდენტზე ორიენტირებულ სწავლებას და კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებას...“

პროგრამის მიზანი თანხვედრაშია აგრეთვე ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის მიზანთან და სტრატეგიასთან, რომელიც გულისხმობს განათლების

ხარისხის ეროვნული და საერთაშორისო მოთხოვნებთან თავსებადი თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების შექმნას.

პროგრამაში გათვალისწინებულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პარტნიორ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობის ფარგლებში მონაწილე უცხოელი სპეციალისტების მოწვევა საკონსულტაციოდ და ლექციების წასაკითხად, ასევე სტუდენტების ჩართულობა საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში. პროგრამა ითვალისწინებს აგრეთვე პროგრამის შედეგების მონიტორინგისა და შეფასების სტრატეგიას, შედეგების ანალიზის საფუძველზე მასში ცვლილებების შეტანას.

მიუხედავად იმისა, რომ პროგრამა ორიენტირებულია შრომითი ბაზრის მოთხოვნებზე, რაც მკაფიოდ გამოვლინდა დამსაქმებლებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს დროს, პროგრამის მიზანი არ შეესაბამება პროგრამაში მითითებულ სწავლის დეტალური

სფერო „0713 ელექტრობა და ენერჯია“-ს („შეისწავლის სამრეწველო და კომერციულ საწარმოებში, ასევე საყოფაცხოვრებო პირობებში ელექტროგაყვანილობისა და ელექტრომოწყობილობების დაყენებას, შენარჩუნებას, შეკეთებას და ხარვეზის დიაგნოსტიკებას. შეისწავლის თბური და ელექტრული ენერჯიების წარმოების, გადაცემის, განაწილების და სხვა ენერჯიებად გარდაქმნის ტექნოლოგიებს, ენერგეტიკული დანადგარების და მოწყობილობების მონტაჟს, გამართვას, გამოცდას და ექსპლუატაციას. ენერგეტიკის ეკოლოგიურ და ეკონომიკურ ასპექტებს, ენერჯიის არატრადიციულ წყაროებს და ენერგოეფექტურ ტექნოლოგიებს“) კლასიფიცირებული სწავლის სფერო „0713.1.2 ელექტროინჟინერია“-ს (ანიჭებს კვალიფიკაციას „მენიერების ბაკალავრი ელექტროინჟინერიაში“).

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სტუ მისია და სტრატეგიული გეგმა
- „ელექტრონიკის საგანმანათლებლო პროგრამის აღწერა
- ბაზრის კვლევა
- სასწავლო კურსის პროგრამები (სილაბუსები)
- დამსაქმებელთა გამოკითხვის ანალიზი
- სტუ ენერჯეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის დებულება
- ხელშეკრულებები და მემორანდუმები პარტნიორ უნივერსიტეტებთან
- შეხვედრები ადმინისტრაციასთან, დამსაქმებლებთან და კურსდამთავრებულებთან
- თვითშეფასების ანგარიში

რეკომენდაციები:

პროგრამის მიზნების პროგრამაში მითითებულ სწავლის დეტალური სფერო „0713 ელექტრობა და ენერჯია“-ს კლასიფიცირებული სწავლის სფერო „0713.1.2 ელექტრონიკისა და ტელეკომუნიკაციის“ (მისანიჭებელი კვალიფიკაციის „მეცნიერების ბაკალავრი ელექტრონიკისა და ტელეკომუნიკაციის“) მოთხოვნებთან შესაბამისობის გამო მოხდეს წარმოდგენილი პროგრამის კლასიფიცირებული სწავლის სფერო 0713.1.2-თან შესაბამისობაში მოყვანა.

სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემსწავლელი და ზოგიერთი ზოგადსაინჟინრო სასწავლო დისციპლინებისათვის გამოყოფილი კრედიტების ხარჯზე დაემატოს ძირითადი სპეციალობის შემსწავლელი საგნები.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება o გოხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან

შესაბამისობა

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს; ● შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის მიზანთან შესაბამისობაში განისაზღვრა პროგრამის შედეგები, რომლებიც თანხვედრაშია უმაღლესი განათლების პირველი საფეხურისთვის მოსალოდნელ შედეგებთან, ითვალისწინებს აგრეთვე კომპლექსური პრობლემების ანალიზის, დასკვნის გაკეთების და გადაწყვეტილების მიღების უნარ-ჩვევების განვითარებას, მაგრამ არ შეესაბამება მისანიჭებელ კვალიფიკაციას.

პროგრამასთან დაკავშირებული დოკუმენტების (პროგრამის აღწერა, კურსების სილაბუსები) შესწავლამ ცხადყო, რომ პროგრამის შინაარსი ორიენტირებულია მასში მითითებული შედეგების მიღებაზე. პროგრამის სწავლის შედეგები მოიცავს პროგრამის შინაარსით გათვალისწინებულ ძირითად თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნას, სპეციფიკურ და ტრანსფერულ უნარ-ჩვევებს. კურიკულუმში ასახულია შედეგების მიღწევის გზები, მაგრამ არაა გათვალისწინებული თითოეული სასწავლო კურსის მიერ სწავლის შედეგების განვითარების დონე.

სწავლის შედეგების შეფასების ზოგიერთი ინდიკატორისათვის განსაზღვრულია სამიზნე ნიშნული, მაგრამ გაუგებარია, როგორ ხდება სამიზნე ნიშნულის რიცხვითი მნიშვნელობის დადგენა.

პროგრამის სწავლის შედეგების შესაფასებლად გათვალისწინებულია პირდაპირი (მოყვანილია ცალკეული კურსის სილაბუსში) და ირიბი (კითხვარები) მეთოდები, მაგრამ აკადემიურ პერსონალთან და ფაკულტეტის სხვა მიმართულების სტუდენტებთან

შეხვედრებისას გამოვლინდა, რომ უკანასკნელი რეგულარულად არ ტარდება. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისას გასათვალისწინებელია დამსაქმებლთა რეკომენდაციები სწავლების პრაქტიკულ მხარეზე და პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებაზე მეტი ორიენტირების შესახებ.

<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <p>o კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით</p>
<p>რეკომენდაციები:</p> <p>პროგრამის შედეგების პროგრამაში მითითებულ სწავლის დეტალური სფერო „0713 ელექტრობა და ენერჯია“-ს კლასიფიცირებული სწავლის სფერო „0713.1.2 ელექტროინჟინერია“-ს მისანიჭებელი კვალიფიკაციის (მეცნიერების ბაკალავრი ელექტროინჟინერიაში) მოთხოვნებთან შეუსაბამობის გამო მოხდეს წარმოდგენილი პროგრამის მიზნის და შესაბამისი სწავლის შედეგების კლასიფიცირებული სწავლის სფერო 0713.1.2-თან შესაბამისობაში მოყვანა.</p> <p>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისას მეტი ყურადღება მიექცეს დამსაქმებლთა რეკომენდაციების გათვალისწინებას სწავლების პრაქტიკულ მხარეზე და პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებაზე მეტი ორიენტირების შესახებ.</p> <p>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <p>o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის</p>
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <p>o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)</p>
<p>შეფასება</p> <p><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input checked="" type="checkbox"/></p> <p>ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა				X

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
<p>უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.</p> <p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ელექტრონულ რესურსების საბაკალავრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას, კერძოდ პროგრამაზე ჩარიცხვა რეგულირდება: „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით; უმაღლესი განათლების საკვალიფიკაციო ჩარჩოთი; საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (შემდგომში - სტუ) წესდებით და სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქციით.</p> <p>პროგრამაზე დაშვების დამატებითი წინაპირობაა ინგლისური ენის B1 დონეზე ცოდნა, ან უნდა ჰქონდეს წარმოდგენილი II სერტიფიცირების დონის (ტესტირების ევროპული სისტემის ALTE-ს B1 დონის შესაბამისი) საერთაშორისო სერტიფიკატი TOEFL. კომპეტენციის დამადასტურებელი სერტიფიკატის წარდგენის აუცილებლობიდან თავისუფლდება პირი, რომელმაც დაამთავრა ან გადიოდა და დაასრულა კურსი/შეისწავლა პროგრამა, რომლის სასწავლო ენა იყო ინგლისური. მსგავსი სერტიფიკატის ან სხვა ანალოგიური დოკუმენტის არ არმქონე პრეტენდენტი გაივლის გასაუბრებას ინგლისურ ენაში სტუ-ს თანამშრომლებისაგან შემდგარ დროებითი კომისიასთან.</p> <p>თვითშეფასების ანგარიშის და პროგრამის აღწერის შესწავლამ, აგრეთვე უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან შეხვედრებმა ცხადყო, რომ პროგრამაზე მსურველების მიღების წინაპირობები გამჭვირვალე და სამართლიანია.</p>

<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> ○ საბაკალავრო პროგრამის აღწერა ○ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი
<ul style="list-style-type: none"> ○ სტუ სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქცია ○ შეხვედრები სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელ პირებთან ○ თვითშეფასების ანგარიში
<p>რეკომენდაციები:</p> <p>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
<p>შეფასება <input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია</p> <p>მოთხოვნებთან</p> <ul style="list-style-type: none"> <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებული ინფორმაცია ცხადყოფს, რომ პროგრამა შედგენილია სტუ მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შესახებ ინფორმაცია საჯაროა და მისაწვდომია სტუ-ს ვებ-გვერდზე.

წარმოდგენილი პროგრამის მიხედვით ხარისხის მოსაპოვებლად სტუდენტმა უნდა აითვისოს არანაკლებ 240 ECTS (კრედიტი), საიდანაც 234 კრედიტი არის ძირითადი სპეციალობის, ხოლო 6 კრედიტი - თავისუფალი კომპონენტის.

ძირითადი სპეციალობის 234 კრედიტიდან 54 კრედიტი ეთმობა საბუნებისმეტყველო მეცნიერებებს, 53 კრედიტი - ზოგადსავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსებს, 127 კრედიტი გათვალისწინებულია საინჟინრო მეცნიერებებისა და სავალდებულო არჩევითი კურსებისათვის (მათ შორის 14 კრედიტი დამასრულებელი ნაშრომის თემის შესაბამის საგნებს, 18 კრედიტი დამასრულებელ ნაშრომს).

საინჟინრო მეცნიერებებისა და სავალდებულო არჩევითი კურსებისათვის განკუთვნილი 127 კრედიტის დეტალურმა ანალიზმა აჩვენა, რომ პროგრამა გადატვირთულია ზოგადსაინჟინრო და სატელეკომუნიკაციო სპეციალობის სასწავლო დისციპლინებით, ხოლო ელექტროინჟინერიის სპეციალობის შემსწავლელ საგნებს ამ 127 კრედიტიდან ეთმობა 70 კრედიტზე ნაკლები. ანუ, პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსები სრულად არ ასახავს მისანიჭებელი კვალიფიკაციის - „მეცნიერებათა ბაკალავრი ელექტროინჟინერიაში“ (სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დეტალური სფერო „0713 ელექტრობა და ენერჯია“-ში შემავალი სწავლის სფერო „0713.1.2 ელექტროინჟინერია“) მქონე სპეციალისტისათვის საჭირო კომპეტენციებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სილაბუსები
- პროგრამის აღწერა
- შეხვედრები სტუდენტებთან და პროგრამაში ჩართულ აკადემიურ პერსონალთან • თვითშეფასების ანგარიში

რეკომენდაციები:

საქართველოში მოქმედი სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან შესაბამისობაში მოსაყვანად საჭიროა პროგრამის სტრუქტურისა და შინაარსის მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან შესაბამისობაში მოყვანა, ან პროგრამის სახელწოდების განსაზღვრა იმ საკვალიფიკაციო კოდის მიხედვით, რომელსაც ის შეესაბამება.

ზოგიერთი ზოგადსაინჟინრო და სატელეკომუნიკაციო სპეციალობის შემსწავლელი სასწავლო დისციპლინა ჩანაცვლდეს ისეთი საგნებით, რომლებიც იძლევა კონკრეტულ ცოდნას ელექტროინჟინერიის (საკვალიფიკაციო კოდი 0713.1.2) მიმართულებით და სტუდენტს უვითარებს სათანადო უნარებსა და ჩვევებს.

პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/სამეცნიერო და ტრანსფერული უნარების განვითარების მიზნით ლაბორატორიული სამუშაოები დაეთმოს არა მარტო სიმულაციურ ამოცანებს, არამედ ექსპერიმენტების ჩატარებას რეალურ ობიექტებზე, მიზანშეწონილია აგრეთვე საკურსო სამუშაოების ჩართვა პროგრამაში.

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია პროგრამაში თუნდაც არჩევითი კურსების სახით იქნას შეთავაზებული ელექტროენერგეტიკული სისტემისა და დანადგარების შემსწავლელი დისციპლინების სასწავლო კურსები.
- მიზანშეწონილია სასწავლო პრაქტიკის კომპონენტის გაძლიერება.

- დარგის სწრაფი განვითარების და შრომის ბაზრის ცვალებადი მოთხოვნების გათვალისწინებით, საჭიროა პროგრამის განვითარების და გაუმჯობესების მიზნით დარგის მოქმედი სპეციალისტების მოწვეული პედაგოგების სტატუსით ჩართვა.

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი როგორც პროგრამის სწავლის შედეგებიდან ჩანს, კურსკულუმში მითითებული ზოგიერთი სასწავლო კურსის სწავლის შედეგები არ შეესაბამება პროგრამის სწავლის იმ შედეგებს, რომელიც უზრუნველყოფს ელექტროინჟინერიაში მეცნიერების ბაკალავრისათვის (სწავლის დეტალური სფერო „0713 ელექტრობა და ენერჯია“-ს კლასიფიცირებული სწავლის სფერო „0713.1.2 ელექტროინჟინერია“) საჭირო ცოდნის მიცემას და სათანადო უნარებისა და ჩვევების განვითარებას.

პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების სწავლის შედეგები შეესაბამება ბაკალავრიატის საფეხურის დონეს.

სასწავლო კურსებში საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს შორის თანაფარდობა კურსის შინაარსის ადეკვატურია.

პროგრამას განსაზღვრული აქვს სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი. გამოყენებულია შეფასების პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდები, რომელიც წარმოადგენს

სტუდენტის მიმდინარე აქტივობების შეფასებით, შუასემესტრული და დასკვნითი გამოცდით. შეფასება გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტურია.

სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებულია თანამედროვე ლიტერატურა. (ზოგ სილაბუსში დაშვებულია უზუსტობა ლიტერატურის მითითებისას. მაგალითად, სასწავლო კურსის „ინგლისური ენა 2“, რომლის მიზანია ჩამოყალიბოს სტუდენტს ენის B2 დონით გათვალისწინებული ცოდნა, სილაბუსში ძირითად ლიტერატურად მითითებულია Upstream, Pre-Intermediate B1, Virginia Evans. Express Publishing 2010.)

<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> • საგანმანათლებლო პროგრამის აღწერა; • კურიკულუმის რუკა; • სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები); • პრაქტიკის ხელშეკრულებები; • სასწავლო კურსის სწავლის შედეგების შეფასების შედეგები; • შეხვედრები აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან; • ინტერვიუ სტუდენტებთან
<p>რეკომენდაციები:</p> <p>სატელეკომუნიკაციო მიმართულების შემსწავლელი და ზოგიერთი ზოგადსაინჟინრო სასწავლო დისციპლინა მიზანშეწონილია ჩანაცვლდეს ძირითადი სპეციალობის შემსწავლელი სასწავლო კურსებით.</p> <p>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
<p>შეფასება</p> <p><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input checked="" type="checkbox"/></p> <p>მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>
<p>2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება</p>

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის საგნობრივი დატვირთვის და სასწავლო გეგმის მიხედვით, პროგრამა ორიენტირებულია სტუდენტთა პრაქტიკული/კვლევითი და საშემსრულებლო უნარების განვითარებაზე. პროგრამის ფარგლებში, სწავლების მეშვიდე სემესტრში სტუდენტები გაივლიან სასწავლო პრაქტიკას დარგის რელევანტურ პარტნიორ ორგანიზაციებში, რაც დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებებით და პრაქტიკის ანგარიშით.

კურსის ბოლოს გათვალისწინებულია დამამთავრებელი საბაკალავრო პროექტის განხორციელება, რაც გულისხმობს სტუდენტების ჩართვას კვლევით საქმიანობაში და შესაბამისი უნარ-ჩვევების განვითარებას.

როგორც სტუდენტებთან ინტერვიუს დროს გაირკვა, პროგრამის ხელმძღვანელობა ზრუნავს სტუდენტების ჩართულობაზე სხვადასხვა სახის სამეცნიერო საქმიანობაში, მათ მონაწილეობაზე სამეცნიერო ფორუმებსა და კონფერენციებში ძირითადად საუნივერსიტეტო დონეზე.

- მტკიცებულებები/ინდიკატორები
- მატერიალურ-ტექნიკური ბაზა;
 - პრაქტიკის ხელშეკრულებები;
 - ინტერვიუ სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, სტაჟირებასა და პრაქტიკაში ჩართულ პირებთან.

რეკომენდაციები:

სასურველია დაემატოს საკურსო პროექტები.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის
 რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

<input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
<input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები
<p>პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის „ელექტროინჟინერია“ განხორციელების პროცესში ლექციაზე, სემინარზე, ლაბორატორიულ თუ პრაქტიკულ მეცადინეობებზე კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, გამოიყენებული იქნება სწავლება-სწავლის მრავალფეროვანი მეთოდი, თუმცა გასაძლიერებელია ლაბორატორიული მეცადინეობები და სასწავლო პრაქტიკის კომპონენტი.</p> <p>სტუდენტებთან შეხვედრისას გაირკვა რომ, საჭიროებისამებრ დგინდება სტუდენტებთან მუშაობის ინდივიდუალური გეგმა სწავლა-სწავლების შესაბამისი მეთოდების გამოყენებით.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <p>o თვითშეფასების ანგარიში o სილაბუსები</p>
<p>რეკომენდაციები:</p> <p>სტუდენტთა პრაქტიკული უნარებისა და ჩვევების განვითარების მიზნით აბსტრაქტულ ობიექტებზე სიმულაციების პარალელურად საჭიროა მეტი ყურადღება დაეთმოს ლაბორატორიული ცდების ჩატარებას რეალურ ობიექტებზე თანამედროვე აპარატურის გამოყენებით.</p> <p>გასაძლიერებელია აგრეთვე სასწავლო პრაქტიკის კომპონენტიც.</p> <p style="text-align: center;">წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <p style="text-align: center;">o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის</p>
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p>

<p>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)</p>	
შეფასება	<input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია
<p>მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>	

<p>2.6. სტუდენტების შეფასება</p>	
<p>სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.</p>	
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამით გათვალისწინებულია შუალედური და საბოლოო შეფასება, სადაც საბოლოო შეფასების წვლილი შეადგენს ჯამური შეფასების 40%-ს. თითოეული კომპონენტის შეფასების სისტემა და შეფასების მეთოდი დეტალურად არის გაწერილი კურსების სილაბუსებში. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა და წინასწარ არის ცნობილი სტუდენტებისთვის.</p> <p>ზოგიერთ სასწავლო კურსში გამოყენებულია შუასემესტრული გამოცდის ქულების სკალირების მეთოდი, მიმდინარე ქულა მრავლდება კოეფიციენტზე (მაგ. S=5xM). მიზანშეწონილია უფრო მკაფიოდ იყოს აღწერილი შეფასების სისტემა.</p>	
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> ○ საგანმანათლებლო პროგრამა „ელექტროინჟინერია“ ○ სასწავლო კურსის პროგრამები (სილაბუსები ○ სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2010 წლის 22 იანვრის №198 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში „სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქცია“; ○ ინტერვიუ სტუდენტებთან, აკადემიურ პერსონალთან, კურსდამთავრებულებთან 	
<p>რეკომენდაციები:</p> <p>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები</p>	
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>	

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
